ცნობის ფურცელი

№ 1739 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 პარასკევი, 1 მარტი № 1739

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების თაოსნობით, შაბათს, 2 მარტს, ქართველ-კათოლიკეთა ღვთის-მშობლის მიძინების ეკკლესიაში გადახდილი იქმნება დაბადების ასის წლის თავის წირვა და პანაშვიდი საქართველოს განსვენებულის ისტორიკოს-არქეოლოგის

მარი ბროსეს

სულის მოსახსენებლად. ღვთის მსახურება დაიწყება დილის 11½ საათზე და დასრულდება 12½-ზე. (რ. 3—2)

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კომელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი-საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—13)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურის, ყელის და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ვ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ქირურგია, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვების 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური გამოკვლ.)

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—8 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წლ.)

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საექიმო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ე ქ ი მ ი

ვახტანგ ლამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24 ტელეფონი № 642.

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

საზღვარ-გარედ

ახლო-აღმოსავლეთი. სანამ ევროპას მთელი თავის ყურადღება ჩინეთისაკენ ჰქონდა მიქცეული, პრაქტიკულ ჭკუის პატრონი გერმანელი ახლო-აღმოსავლეთში აკეთებდა საქმეებს და გერმანიის იმპერიის დიპლომატიამ ვილჰელმ მეორის ხელმძღვანელობით მიაღწია კიდეც მიზანს: სომხების გაჟლეტას ტყუილა როდი თანაუგრძნო გერმანიის იმპერატორმა. ამისათვის მან ძვირფასი და დაუფასებელი საზღაური მიიღო ბაღდადის რკინის გზის კონცესიის სახით. მცოდნე ევროპიელებისა და შეგნებულ ოსმალების შეხედულებით ბაღდადის რკინის გზის საშუალებით გერმანელი გაბატონდება მთელს მცირე აზიაში. ეს კიდევ ცოტაა. ინგლისელ ავტორიტეტულ დიპლომატის იეტის აზრით ბაღდადის რკინის გზა ქუეიტამდე მიყვანილი გააბატონებს გერმანელს სპარსეთის ყურეს ნაპირებზე და მთელ სამხრეთ სპარსეთშიაც.

აქეთკენვე მიისწრაფვის რუსეთის იმპერიის დიპლომატიაც. ჩრდილოეთ სპარსეთში რუსეთის გავლენა დიდია, აქ მას მეტოქე არა ჰყავს, მაგრამ ამას როდი სჯერდება; მისი დიპლომატია ყოველ ღონეს ღონობს ეს გავლენა სამხრეთისაკენ გაავრცელოს; ამისათვის მას უკვე აქვს შედგენილი რკინის გზის პროექტი კავკასიიდან თავრიზზე, თეირანზე, ისპაჰანზე და ბენდერაბასზე და მოხერხებულ დროს ეძებს ამ პროექტის განსახორციელებლად.

გერმანიისა და რუსეთის სამხრეთ სპარსეთისაკენ გაწევა არაფრად მოსწონს ინგლისს, რომელსაც დიდი ხანია ეს მხარე თავისად აქვს მიჩნეული, და თავის მხრივ ეძებს საშუალებას თავიდან აიცილოს მოსალოდნელი შიში. საქმეს გაცნობილ ინგლისელის აზრით, საუკეთესო საშუალება მეტოქეთა მოქმედების შესაფერხებლად არის სამხრეთ სპარსეთში ინგლისელების სრული გაბატონება. ამ მიზნის მისაღწევად საკმარისი იქნება, თუ ინგლისელები ნუშკიდან (ჩრდილოეთი ინდოეთი) ბელუჯისტანის ჩრდილოეთ საზღვრის გასწვრივ სეისტანზე, ისპაჰანზე და ბაღდადზე რკინის გზას გაიყვანებენ. როცა ეს პროექტი განხორციელდება, ინგლისის გავლენისათვის საშიში არ იქნება არც რუსეთი და არც გერმანია. რუსეთის მოძრაობას სამხრეთისაკენ საზღვარი დაედება და ბაღდადის რკინის გზაც წმინდა გერმანული საქმე არ იქმნება. ბაღდადის რკინის გზის ნაწილს ბაღდადიდან ქუეიტამდე სულ ცოტა მნიშვნელობა ექნება, რადგანაც მთელი მოძრაობა ბაღდად-ინდოეთის რკინის გზაზე გადავა, რადგან ეს გზა ბევრად უფრო შეამოკლებს მგზავრობისათვის და საქონლის გადაზიდვისათვის საჭირო დროს. როგორც რუსულ გაზეთებს ატყობინებენ ლონდონიდან, იქ გერმანიასა და ინგლისს შუა უკვე მოლაპარაკება უნდა იყოს გამართული ბაღდადისა და ინგლის-ინდოეთის რკინის გზების შეერთების შესახებ. თუ ეს ხმა მართალია, ადვილად შესაძლებელია, რომ ინგლისის ზემოხსენებული განზრახვა მალე განხორციელდეს და რუსეთის სამხრეთ-სპარსეთისაკენ წასვლას გარდუვალი ზღუდე შეხვდეს წინ.

თვითონ სპარსეთს კი ისევ ძველებურად სძინავს! ლამის არის ხსენებაც გააქრონ მისი და პატრონი კი არასაით არა სჩანს. დაბეჩავებული, უვიცი და გაღატაკებული სპარსელი წინააღმდეგობას ვერ გაუწევს მადა-გაღვიძებულს და ღონიერ ევროპიელს. ირანის ლომი ისე დაეცა, რომ ერთი პოლკი ყაზახ-რუსებისა კმარა მის დასამარცხებლად; და დაამარცხებდა კიდეც, რომ მისი ნება იყოს, რადგან ამ ერთ პოლკს რუსის ყაზახ-რუსებისას კავკასია უმაგრებს ზურგს.

სპარსელი ბუნებით ნიჭიერი და შრომის მოყვარეა; მას რომ პატრონი ჰყავდეს, არც დაბეჩავებული და ღარიბი იქნებოდა და არც ასე აგდებდნენ უცხოელები, ისიც ანგარიშში მისაღები იქნებოდა. და ვინ იცის, იქნება უცხოელები ჩოთქში ეხლაც სცდებოდნენ და ეხლა ცოცხალ-მკვდარი სპარსელი გამოცოცხლდეს და სიურპრიზი მოუმზადოს თავის ძალად-მაცხონებს. ნუ დავივიწყებთ, რომ სპარსეთი აღმოსავლეთია და აღმოსავლეთს კი ხშირად ძალიან შორს გამჭვრეტი და გამოცდილი დიპლომატებიც გაუკვირვებია.

ჩინეთი. ამ შორე-აღმოსავლეთში ჯერ, რასაკვირველია, ისევ უცხოელები თარეშობენ თავისუფლად და გააქვთ და გამოაქვთ, რამდენიც შეუძლიათ. ჩინეთისაც არა დარჩენია-რა, უნდა ყველაფერი ითმინოს, ყველაფრის თანახმა გახდეს, რასაკვირველია, დრომდე. ჩინეთის ყოველ სამინისტროში უნდა დაინიშნოს თითო უცხოელი მდივანი „სხვა-და-სხვა საქმეების გადაწყვეტაში დასახმარებლად“-ო. ჩინეთის მთავრობას უკვე გამოუნახავს რვა ამისთანა ევროპიელი, რომელთაც წინად კორეაში უცხოვრიათ დიდ-ხანს. არაფერია, ამათგანაც ისწავლის ჩინელი ჭკუას.

რუსეთის და ჩინეთის „შეთანხმებაზე“ შემდეგ ცნობებს იტყობინება „ტაიმს“-ის კორესპონდენტი: „მე საბუთი მაქვს ვიფიქრო, რომ ის შეთანხმება, რომელიც მოხდა 1901 წ. 15 მარტს რუსეთის რეზიდენტსა და გირინის თათრის გენერალს შუა და რომელიც მარტო რუსეთს აძლევს უფლებას დაამუშაოს გირინის ნახშირის და ოქროს მდიდარი მადნები, დამტკიცებულია ლი-ხუნ-ჩანგისაგან და იმპერატორისაგანაც. უთუოდ ამგვარივე შეთანხმება მოხდა რუსეთის რეზიდენტსა და მუკდენის მმართველს შორის. რაც შეეხება აღძრულ მოლაპარაკებას, რომლის დროსაც რუსეთი რუსეთ-ჩინეთის ბანკისათვის

ფელეტონი

შავი-ქვის საზოგადოება

(წერილი ქუთაისიდან)

ჩამოვიდა თუ არა იანვრის დამდეგს ბ. ზდანოვიჩი პეტერბურგიდან ქუთაისში, იმ წამსვე შეიკრიბნენ აქ ყოველ კუთხიდან შავი ქვის მრეწველნი და მათი ვექილები (წარმომადგენელნი). ყველას სცემოდა ოქროს სუნი; ამ თილისმა-ლითონს ყველასთვის აღეძრა საშინელი მადა. რომ თქვას კაცმა, საკმაოდ მომშეულნიც იყვნენ ჩვენი პატივცემული მრეწველნი: თითქმის ორი წლის კრიზისი და ქვის ფასის დაცემა ხუმრობა არაა!

ჩვენი კონტრაგენტის ბერლინის მანგანსინდიკატის ავანგარდი კი, ე. ი. ორასი ათასი მანეთი კიდეც მოსულიყო ქუთაისში და განისვენებდა საურთიერთო ნდობის საზოგადოების კასაში თ. პ. ა. თუმანიშვილის მფარველობის ქვეშ. ყველა უცხადებდა სიყვარულს ამ ბერლინის მზეთუნახავს; ყველა ეტრფოდა მას; ყველა იშვერდა მისკენ ხელს, მაგრამ ციც! მიაძახებდა მათ ბ. ზდანოვიჩი და მთელი საორგანიზაციო კომისია; მრეწველნიც ყუჩობდნენ დროებით და იკლავდნენ გულში აღძრულ სურვილებს.

ბ. ზდანოვიჩი არ ჩქარობდა. იგი ღირსეულად ინახავდა თავის ამანათს და სურდა სანაქებოდ გაეთხოვებია იგი. მას სწადდა შეესრულებია ყოველივე ფორმალური მხარე, დაეარსებია შემდგარი მტკიცე ამხანაგობა, წევრთათვის ჩამოერთმია შესაფერი სიმაგრე და სხ. ამისთანა მარჯვე დროს კი ვერ იპოვიდა; ამიტომ საორგანიზაციო კომისიასთან ერთად შეუდგა მხნედ საქმეების მოწყობას.

მოხდა კომისიის და ვექილთა კრებანი, შეიქმნა დაუსრულებელი ბჭობა და კამათი ცენტრალურ ამხანაგობის დაარსების და მისი პირობის შესახებ, ფულის განაწილების თაოპაზე, ქვის ფუთობით განაწილებაზე, მადნების გადაცემის შესახებ და სხ. და სხ. კრება და კამათი გაგრძელდა თითქმის ერთ თვეს მცირეოდენ ინტერვალით. გაცხარდნენ წევრები და ვექილები; არ მოსწონდათ მათ ბ. ზდანოვიჩის და კომისიის ზოგიერთ წევრთა წინადადებანი, მაგრამ ბ. ზდანოვიჩი დარჩა შეუდრეკელი და გაიტანა თავისი აზრი.

ამ რიგად შესდგა ერთი ცენტრალური ამხანაგობა სრული ამხანაგურის წესით და ცხრა ამ თვეს, როგორც ვიცით, მოინათლა ქუთ. ნოტარიუს ანჯაფარიძესთან **შავი ქვის საზოგადოების** სახელით. საზოგადოება შესდგება 18 ჯგუფთაგან, რომელთ წევრთა რაოდენობა აღემატება 190 მრეწველს. ჯერ ხანად სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო დარჩენ გარეშე კიდევ ორი ჯგუფი, სახელდობრ „სოიუზი“ და „იმედი“, მაგრამ მოსალოდნელია, რომ ისინიც მალე მოაწერენ ხელს საერთო პირობას.

დიდი ბჭობა და უკმაყოფილება დაბადა მადნების, ანუ უკეთ, საბუთების გადაცემამ შავი-ქვის საზოგადოების სახელზე. ამ საქმემ გამოიწვია ბევრი ხარჯები და დაბრკოლებანი; დასჭირდა მრავალი წევრების ჩამოყვანა ქუთაისში და მარტო ნოტარიუსს დარჩა ამ საბუთების გადაცემისთვის 2,000 მანეთამდე, ეს დიდის წვალებით ნასესხი ფული. მიზანს კი მივაღწიეთ ამ საბუთების გადაცემით? ძლიერ ვეჭვობ...

კიდევ მეტი განგაში და აურზაური ასტეხა ავანსის განაწილებამ. როგორც მოგეხსენებათ, მანგან სინდიკატმა გამოგზავნა ქუთაისში ავანსად ანუ უკეთ სესხად ორასი ათასი მანეთი, ე. ი. კაპეიკი ფუთზე ოცი მილიონი ფუთის კვალობაზე; აი ეს ფული უნდა დარიგებოდათ შავი-ქვის საზოგადოების წევრთ, მაგრამ რა რიგად? ეს იყო სფინქსის ამოცანა. წევრები და ვექილები თხოულობდნენ ფულს სრულად; მიზეზად ასახელებდნენ იმას, რომ ამ ფულით მათ სურთ აიღონ იჯარით ახალი მადნები, შეიძინონ ბაქნები, გაწმინდონ მაღაროები, მოაწყონ კანტორები, დაურიგონ ავანსები მუშა-ჩალვადარს, შეაკეთონ წინად დამუშავებული ქვა და სხვ. და სხ. ამ განზრახვას აღუდგენ წინ ბ. ზდანოვიჩი და კომისიის ორიოდე წევრი. ამათ ძლიერ კარგად იცოდნენ ქართველის ფსიხოლოგია: თუ ფულს ჩაიგდებდნენ ხელში, საქმეს მეათედიც არ მოხმარდებოდა. ამიტომ სცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი ნაწილი დაეტოვათ საზოგადოების კასაში, რათა ამ ფულით აეღოთ იჯარით დიდი მადნები, დაემზადებინათ საერთო ბაქანზე ერთ მილიონ ფუთამდე ძლიერ გარკარგი ღირსების ქვა, დაეფარათ წარსული და მომავალი ხარჯები და სხვა ამისთანები.

ეს აზრი არ მოეწონათ პირველთ: მოხდა

პრივილეგიებს თხოულობდა, ეს სახელმწიფოების თვალის ახვევაა და მეტი არაფერი: რუსეთმა გამოაცხადა, რომ იგი ვითომ აღარ თხოულობს ამ პრივილეგიებს, მაშინ როდესაც მან ყველაფერი მიიღო, რაც კი ჰსურდა წინად მომხდარ შეთანხმებების ძალით“.

✡ როგორც ზოგიერთ ცნობებიდან სჩანს, ჩინელები ჯერაც არ დაწყნარებულან: მანჯურიაში „ხუნხუზების ბრბოს ნარჩენები“ მოსვენებას არ აძლევენ რუსის ჯარებს; ამურისა და კვანტუნის ოლქის უფროსები ხშირად იტყობინებიან—ამა და ამ ადგილას დავამარცხეთ ეს „ნარჩენები“-ო, და ჯერ კარგათ არ იციან, როდის მორჩებიან ამ „ნარჩენებს“. ესევე ითქმის ჩინეთის სხვა მხარეებზედაც: ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში მოსულ ცნობებით, მეტად საშიშ მდგომარეობაში იმყოფებიან ნონინგის მისიონერები. ამიტომ ხსენებულმა სამინისტრომ წინადადება მისცა მისიონერებს მიატოვონ ეს მხარე და ჯარების მფარველობის ქვეშ პეკინისაკენ წამოვიდნენ. როგორც ისმის, აჯანყებულთა შორის ათასზე მეტი ჩინელი ჯარის კაცი იმყოფება. ამერიკის საელჩოში ამ აჯანყებას მეტად დიდ მნიშვნელობას აწერენ.

ინგლისი. თავისუფალ ვაჭრობის კლასიკური ქვეყანა ინგლისი იმპერიალისტებისა და კონკურენციის ზედ-გავლენის ქვეშ ვაჭრობის მფარველობით სისტემაზე ჰფიქრობს. პროტექციონისმი თან-და-თან პრაქტიკულ კითხვის ხასიათს დებულობს და ბევრს დიდ-შეცდომად მიაჩნია თავისუფალ ვაჭრობის პრინციპი. ადვილად შესაძლებელია, რომ ინგლისის მთავრობამ, სახელმწიფო შემოსავლის გასაძლიერებლად და თმიანობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ბაჟი დაადოს ბევრ ისეთ საგანს, რომელიც აქამდე სრულებით თავისუფალი იყო ყოველის გადასახადისაგან. ინგლისელი მრეწველი დიდის თანაგრძნობით მიეგებება მთავრობის ამ პოლიტიკას, რადგან ინგლისის ბაზარზე უფრო და უფრო მეტი ამერიკული და გერმანული საქონელი მოდის. ჩემბერლენი და მისი მომხრენი დიდათ თანაუგრძნობენ მფარველობით სისტემას—ესენი ხომ მრეწველთა ინტერესების წარმომადგენელნი არიან. გარდა ამისა, ჩემბერლენსა და მისის ტიპის იმპერიალისტებს სხვა უფრო დიდი და შორეული განზრახვა აქვთ: გერმანიის იმპერიის შექმნას და გაერთიანებას წინ მიუძღვოდა გერმანიის სამთავროების სადამოჟნო კავშირი—zollverein’-ი. ინგლისის იმპერიალისტების განზრახვა არის შექმნან ჯერ საიმპერიო სადამოჟნო კავშირი, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღოს ბრიტანიის იმპერიის ყველა კოლონიებმა (თვით ეს ახალშენები, მაგ. კანადა და ავსტრალია უკვე დაუბრუნდნენ პროტექციონიზმს). ამ სადამოჟნო კავშირის საფუძველზე უნდა აშენდეს „Imperial federation“—საიმპერიო პოლიტიკური ფედერაცია ცენტრალურის პარლამენტით, სადაც წარმომადგენელი ეყოლება ყველა ახალშენს. ამ სახით ახალშენები იძულებული იქნებიან მონაწილეობა მიიღონ საიმპერიო ფლოტისა და ჯარის შენახვის ხარჯებში. ეს არის ოცნება ჩემბერლენისა და იმპერიალისტებისა. ამ განზრახვის განხორციელებით ინგლისი ერთი-ორად უფრო გაძლიერდება და არც არავისი შიში ექნება.

ახალი ამბავი

◆ ამ წლის ოთხს მარტს შესრულდება **ორმოცი წელი,** რაც გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, ეპისკოპოსად ეკურთხა.

◆ გუშინ მოხსენებული გვქონდა, რომ ამიერ-კავკასიის **რკინის გზის ახალმა უფროსმა ბ. ივანოვსკიმ** პირველ გაცნობისთანავე სიტყვით მიჰმართა მოხელეთ. ბ. ივანოვსკიმ, სხვათა შორის, სთქვა, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ ის სრულიად სპობს ყოველგვარ ჯარიმას, მეტადრე ფულისას, რომელსაც აქამდის ახდევინებდნენ მოხელეთ და რომ მოსამსახურეთა დათხოვნის ნება დანაშაულობის გამო მარტო იმისი საქმეა და ისიც მაშინ, როდესაც დამნაშავე მოსამსახურის საქმეს გამოიძიებს განსაკუთრებული კომისია იმისი თანაშემწის თავმჯდომარეობით. შემდეგ ბ. ივანოვსკიმ სთქვა, რომ მოსამსახურეთა ცვლილების შესახებ ის არაფერს არა ჰფიქრობს და ყველასა სთხოვს, განაგრძონ თავისი მუშაობა და დიდი ყურადღება მიაქციონ უმცროს მოსამსახურეთა ყოველგვარ საჭიროებას. საზოგადოდ, ახალის უფროსის სიტყვამ მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა მოსამსახურეებზე.

◆ კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზის ახალმა უფროსმა ივანოვსკიმ შემდეგი საყურადღებო ბრძანება გასცა: შეუდგე რა ჩემის მოვალეობის აღსრულებას, მე ზედმიწევნით გავიცნობ ჩემ მრავალ ხელქვეითთა საჭიროებას, როგორც შეჰფერის უფროსს, რომელსაც მინდობილი აქვს მათზე ზრუნვა. ნაცვლად ამისა მოვითხოვ მოსამსახურეთაგან თავთავიანთ მოვალეობათა სინიდისიერად აღსრულებას. საზოგადო წვრილმან დანაშაულობისათვის არავინ დაისჯება, მაგრამ არ მოუთმენ არავის უპატიოსნოთ და უსინიდისოთ თავისის მოვალეობის ასრულებას.

ფულით დაჯარიმებას სრულიადა ვსპობ და ნაცვლად ამისა დანაშაულობისათვის მიეცემათ შენიშვნა, სასტიკი შენიშვნა, გამოეცხადებათ რომ დათხოვნილ იქმნებიან სამსახურიდან და გადაიყვანებიან მცირე ადგილზე.

იმათ შესახებ, რომელნიც მატარებლებზე მსახურებენ, დანაშაულობას გამოიძიებს ცალკე, ჩემ მიერ დანიშნული, კომისია, რომლის დადგინებას განვიხილავ მე და დავამტკიცებ.

დანაშაულობისათვის სამსახურიდამ დაითხოვენ ან გადაყვანილ იქმნებიან დაბალ ადგილზე მხოლოდ კომისიის მიერ დანაშაულობის გამოკვლევის შემდეგ, რომელიც ჩემ მიერ იქნება განხილული და დამტკიცებული.

სამსახურიდამ დროებით გადაყენების უფლებას ვაძლევ განყოფილებათა უფროსებს, დანაშაულობის გამოკვლევისა და ჩემ მიერ დამტკიცებამდე.

თვით მმართველობაში და რკინის გზით მიმოსვლის დროსაც ყველას, განურჩევლად დიდსა და პატარას, თამამად შეუძლიან მომმართოს მე თხოვნით.

◆ 23 თებერვალს მოხდა კრება განსაკუთრებულის კომისიისა, რომელმაც განიხილა განსვენებულის ზუბალაშვილის სახელზედ **სახალხო სახლის აგების პროექტი** და მიუსაჯა ჯილდოები: 500 მანეთი—პეტერბურგელ სამოქალაქო ინჟენერს კრიგინსკის, ხოლო 300 მანეთი—ტფილისელს სამოქალაქო ინჟენერს სარქისიანს. პროექტები საჩვენებლად გამოკიდულია სამხედრო-ისტორიულს მუზეუმში.

◆ ამას-წინად ქუთისში გასამართლებულთა ალ. ლორთქიფანიძის და მის ამხანაგების **კასაციური საჩივარი** კავკასიის სამხედრო სასამართლომ გაუგზავნა პეტერბურგს უმთავრეს სამხედრო სასამართლოს.

◆ ოთხშაბათს საღამოს, კავკასიის სამხედრო შტაბის სადგომში, გენ-ლეიტ. ა. ა. ფრეზეს თავმჯდომარეობით მოხდა სხდომა **კავკასიის** გეოგრაფიულის საზოგადოებისა. სხდომაზე საზოგადოების მდივანმა პოგირევმა წაიკითხა განის მოხსენება დაღესტანსა და ჩაჩნეთში მოგზაურობის შესახებ. მოხსენებაში მაინცა და მაინც ახალი და საინტერესო არა იყო-რა; უფრო ჩვეულებრივ სამოგზაურო შთაბეჭდილებას წარმოადგენდა, ვიდრე სამეცნიერო მოხსენებას. სხდომის დასასრულ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ 8 მარტს მოწვეულ იქნება საზოგადოების წევრთა წლიური კრება, რომელმაც უნდა აირჩიოს გამგეობის წევრნი ნაცვლად გენ-ლეიტ. ა. ა. ფრეზესი (თავმჯდომარე), გენ. ზეზემანისა, გლასსეკისა და პანტიუხოვისა, (წევრები(, რომელთაც ვადა უთავდებათ.

◆ გუშინ, 28 თებერვალს, მთავარმართებლის კანცელარიაში პანაშვიდი გადაუხადეს მოსკოვში გარდაცვალებულს მთავარმართებლის კანცელარიის **დირექტორს** სანდრიგაილოს. პანაშვიდს დაესწრნენ: კავკასიის მთავარ-მართებელი თავადი გ. ს. გოლიცინი, იმისი თანაშემწე გენერალი ფრეზე, ტფილისის გუბერნატორი და კანცელარიის მოხელენი.

◆ **მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის განახლების კომიტეტის** თავმჯდომარედ დაინიშნა ყოვლად სამღვდელო კირიონი, გორის ეპისკოპოსი, ხოლო იმის თანაშემწედ—ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის ამშენებელი ნიკოლოოზ ცხვედაძე. საქართველოს ეგზარხოსის ალექსის წინადადებით, კომიტეტმა იკისრა მცხეთის სამთავრო მონასტერის ტაძრის განახლებაც და წმ. ნინოს ეკკლესიის დამთავრებაც. აზრადა აქვთ აგრეთვე მცხეთის მონასტრის საქალებო სასწავლებელი გადააკეთონ და მიანიჭონ მას სახელმწიფო სასწავლებელთა უფლებანი.

◆ საქართველოს ეგზარხოსის ალექსის განკარგულებით, შესდგა კომისია ყოვლად სამღვდელო კირიონის თავმჯდომარეობით, რომელმაც უნდა შეიმუშაოს მოხუც სამღვდელო პირთა და იმათ ქვრივ ობოლთათვის **თავშესაფარის პროექტი**; თავშესაფარი უნდა დაარსდეს ტფილისში.

◆ პარასკევს, პირველ მარტს, ეგზარხოსის ეკკლესიაში, საღამოს ლოცვის დროს, ეგზარხოსი ალექსი **ბერად აღკვეცავს** ტფილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს, ღვთის-მეტყველების კანდიდატს ნიკოლოოზ ნამორაძეს.

◆ სოფ. ზემო ჩიბათის მღვდელ მ. ჯორბენაძისაგან მივიღეთ ხუთი მანეთი, წირვის დროს თავის მრევლში შეკრებილი, შემახელების სასარგებლოდ.

◆ 22-ს თებერვალს პეტერბურგში დასრულდა სხდომები იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა შეემუშავებინა ღონისძიებანი ოსმალეთისა და სპარსეთის საზღვრებზე **სანიტარულ-ვეტერინალურ** ზედამხედველობის გაძლიერების შესახებ, რათა უზრუნველ ყოფილი იქმნას ამიერ-კავკასია საქონლის ჭირის გავრცელებისაგან. სხდომებზე დასასწრებლად გაწვეულნი კავკასიის სავეტერინარო მმართველობის უფროსი ზოლოტარევი და ერევნისა და ყარსის საგუბერნიო ვეტერინარები პეტერბურგიდან დაბრუნდნენ.

◆ **საქონლის ასაცრელ** ზურნაბადის სადგურის გამგე ჟულკოვსკი ამ დღეებში გაიგზავნა ბორჩალოს მაზრაში, სადაც ამ ჟამად საქონლის ჭირი მძვინვარებს, რათა შეაგროვოს ავადმყოფ საქონლის სისხლი და ჩირქი, რომელიც საჭიროა ასაცრელ შრატის მოსამზადებლად ხსენებულს სადგურზე. ამავე საგნისათვის გადაიდვა 4 ათასი მან.

◆ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტისაგან წელს შორაპნის მაზრის **საქარის სანერგეს** შესანახავად გადადებულ იქნება 5000 მანეთი.

◆ სოფ. სამთავისიდან „ნოვ. ობოზრ.“ სწერენ: ამ სოფელში ცხოვრობს 30 კომლი სახელმწიფო გლეხი, რომლებიც დიდ გაჭირვებაში არიან **ადგილ-მამულის სიმცირის გამო**. ამ სოფელს 100 დესეტინა სახნავი მიწა აქვს, ისიც ურწყავი, და თითქმის უსარგებლოა; სოფელს გარეშემო არტყია მემამულეთა მიწები; ერთი ულელი ხარის შესანახავად მათ საძოვარი თავად ამილახვრიანთ და ზაალიანთ უნდა იჯარით გამოართვან. ამ თვეს სოფელში გამოაცხადეს, რომ დაასახლებენ 10 კომლს რუსის გლეხს. თუ ეს გამართლდა, სამთავისელებს ძნელი საქმე მოუვათ და მეტს გაჭირებაში ჩავარდებიან, რადგანაც 1—2 დესეტინა არ შეხვდებათ და ისიც ურწყავი და გამოუსადეგარი.

◆ 27 თებერვალს ტფილისის ქალაქის გამგეობის სხდომაზე ქალაქის მოურავის მოადგილემ აღძრა საკითხი **ქალაქის ინჟენერის** მოწვევის შესახებ ბ. ენფიანჯიანცის მაგიერ. ბ. შესტაკოვმა სხდომაზე საკითხი ასე დააყენა: მოვიწვიოთ თუ არა ეხლავე ქალაქის ინჟენერის თანამდებობაზე ვინმე, თუ ინჟენერის ადგილი სრულიად გავაუქმოთ და მისი საქმე ქალაქის ტეხნიკოსებმა აკეთონ. გამგეობამ გადასწყვიტა დაავალოს გამგეობის წევრს ბ-ნ ენფიანჯიანცს ამ საქმის შესახებ თვისი მოსაზრება წარუდგინოს გამგეობას ახლო მომავალში; გამგეობამ ეს საკითხი უნდა განიხილოს ქალაქის გამგეობაში მოხელეთა შტატის გადამთვალიერებელ კომისიის მოხსენებასთან ერთად. გამგეობამ ამასთანავე გარდასწყვიტა: ვიდრე ქალაქის ინ-

---

შეტაკება, მაგრამ მაინცა და მაინც გაიმარჯვა ამ აზრმა. ამ რიგად ასი ათასი მანეთი, ე. ი. ფუთზე ნახევარი კაპეიკი ურიგდებოდათ ჯგუფებს და მათ წევრებს, მეორე ასი ათასი მანეთი-კი რჩებოდა საზოგადოების კასაში ზემოდ მოყვანილი საქმეებისათვის.

დადგა სანეტარო დღე. თითქმის მთელი ჭიათურა შეჯგუფდა შავი-ქვის საბჭოს დარბაზში, გაიხსნა ბანკის ცხრა კლიტული და გამოიყვანეს მორცხვი თუ ურცხვი საპატარძლო. ბ. ზდანოვიჩის მიერ ხელ მოწერილმა ჩეკებმა თილისმის წკეპლასავით დაადნეს ეს ყვითლად ბზინვარე მზეთ-უნახავი. ყველა ვექილს უთამაშებდა ხელში ყვითელი ბილეთი. ვექილები გარბოდნენ საურთიერთო ნდობის ბანკისკენ და თითოეულ მათგანს წიწილებივით მისდევდნენ და მიწიოდნენ თავიანთი მარწმუნებელნი, ამხანაგობათა წევრები; ამათ კი მისდევდნენ თავიანთი მევალეები. როგორც იქნა, მიიღეს ფული; მაგრამ გაუხარათ კი გული ყვითელმა ოქრომ? ვგონებ, ბევრს არავის. ერთი თვის ქუთაისში ლოდინის გამო ნახევარი მიღებული ფულისა ხვდათ სამიკიტნო-სასტუმროებს, ზოგი კერძო მევალეებს, ზოგი ნოტარიუსს უმნიშვნელო საბუთების გადაცემის გამო; ცოტაოდენი გროშები თუ შერჩათ ჯიბაში და ამ თანხით ისინი შეეფარნენ თავიანთ შავბნელ ჭიათურას და მაღაროებს.

ამავე დროს მობრძანდა ქუთაისში მანგანსინდიკატის წარმომადგენელი ბ. ნეიმანი და თავის თანაშემწე ბ. საეტთან ერთად შეუდგა საქმეების გაცნობას და მოქმედებას. ჯერ გადაწყვეტილი არაა, თუ სად დაბინავდება ბ. ნეიმანი; მოსალოდნელი კია, რომ მისი სავანე გახდეს ქუთაისი, რომელიც ასე ძალიან მოსწონს თავის ბუნების სიმშვენიერის გამო, ხოლო ეუცხოვება მისი საშინელი ქარი და კიდევ უფრო—საშინელი მტვერი.

შავი-ქვის საზოგადოების დაარსებით შესწყდა საორგანიზაციო კომისიის მოქმედება; მან გაიუქმა თავისი თავი და საქმეები გადასცა შავი-ქვის საზოგადოების საბჭოს, რომელიც შესდგება ჯგუფების ვექილთაგან და რომელმაც გამგეობის დროებით წარმომადგენლად აარჩია გ. ფ. ზდანოვიჩი. ეგრეთვე საბჭოს წევრებმა თავიანთ შორის აარჩიეს კომიტეტი ხუთი კაციდან. კომიტეტში იქმნენ არჩეულნი ფ. მ. კიკნაძე, ს. მ. გაჩეჩილაძე, თ. პ. პ. აბაშიძე და ორიც გარეშე პირი: ს. ი. წერეთელი და თ. ი. ბ. ნიჟარაძე. აქ, ჩვენის აზრით, საორგანიზაციო კომისიას მოუხდა რამდენიმე შეცდომა.

1) მას, ვგონებ, არ ქონდა უფლება გაეუქმებია თავისი თავი და გადაეცა საქმეები საზოგადოების საბჭოსათვის. მრეწველთა საზოგადო კრებამ აარჩია ეს კომისია და მიანდო საქმის ორგანიზაცია; ამიტომ მას უნდა მოეხდინა ისევ საზოგადო კრება ჭიათურაში, ემხილა მისთვის თავის ათი თვის მოქმედების ავ-კარგი და ჩაებარებია თავის საქმეები. შემდეგ საზოგადო კრების ნება იყო, თუ ვის აირჩევდა და ვის ჩააბარებდა ამ საქმეებს.

2) საორგანიზაციო კომისიამ და ვექილებმა თითქმის ერთიანად შესცვალეს ის ცენტრალურ ამხანაგობის წესდება (პირობა), რომელიც სეკტემბერში წაუკითხეს საზოგადო კრებას. ასე ერთიანად შეცვლილი და მეტადრე ზოგიერთი მუხლი, რომელიც შეიცვალა კომისიის წევრთა და ვექილთა უმრავლესობის სურვილის წინააღმდეგაც კი, დაამტკიცეს ნოტარიუსთან. ჩვენის აზრით, უფრო სამართლიანი იქნებოდა, რომ ეს შავი-ქვის საზოგადოების შეცვლილი პირობა დამტკიცებამდე გაეცნო საზოგადოებას. ეჭვი არაა, მაშინ არ შეეპარებოდა ის უხერხული შეცდომანი, რომელიც შეიტანეს, მაგ., მეთორმეტე მუხლში. ამ მუხლის მეოხებით არ შეუძლიათ კენჭი იყარონ და იქმნან არჩეულნი შავი-ქვის საზოგადოების გამგეობის წევრად ამავე საზოგადოების წევრები, არამედ უნდა იყვნენ არჩეულნი სულ გარეშე პირები. ამ გვარი წესი ჩვენ პირველად გვესმის. აურიცხველი სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოება-ამხანაგობანი არსებობენ ევროპა-რუსეთ-ამერიკაში, ეგრეთვე კავკასიაში და ყველგან გამგეობის წევრებათ უმეტესად და თითქმის სულაც ირჩევენ თვით ამ საზოგადოების თუ ამხანაგობის წევრებს; ეს საზოგადო კანონია; მაგრამ ეს წესი უარ-ჰყვეს ზოგიერთმა გავლენიანმა პირებმა. ამ შემთხვევაში ჩვენთვის გაუგებარ მოსაზრებით ეს სამართლიანი წესი ამოშალეს პირობის მეთორმეტე მუხლიდან. დავიჯეროთ, ამ 200 კაცში, საზოგადოების წევრებში, ან მომავალში მაინც არ გამოჩნდება ვინმე ღირსეული პირი, რომ არჩეულ იქმნას გამგეობის წევრად?! ეს ისე შემოვიღეთ მხოლოდ ამ ერთ წელიწადსო, ბრძანებენ ის გავლენიანი პირები. ჩვენ ეს კიდევ უფრო ვერ გაგვიგია! თუ ერთი წლის

ჟენერის მოწვევის შესახები საქმე არსებითად იქმნებოდეს განხილული, ინჟენერის საკეთებელი საქმეები განაწილებულ იქმნეს ქალაქის ტეხნიკოსთა შორის, რათა ქალაქის საქმეების ნორმალური მიმდინარეობა არ შეფერხდესო.

✦ რათა შესწავლონ **ხორცის ხარისხებად** დაყოფა ყასბებს და სავაჭრო პოლიციის მოხელეთ და აგრეთვე დამსწრე მსურველთ, ქალაქის ბეითალი თავდგირიძე საგანგებოდ დაჰყოფს ხორცს: პირველ მარტს მეიდანზე, ორს—ავლაბარში, ოთხს—რიყეზე, ხუთს—კუკიაში, ექვს ავლაბარში და შვიდს ვერაზე-საღამოს 5 საათზე.

✦ გუშინ, 28 თებერვალს, გუბერნიის საქალაქო **სადგომ სახლების გარდასახადის** საკრებულოს სხდომა მოხდა. ამ სხდომაზედ განიხილეს ტფილისის გარდასახადთა ინსპექტორების მოხსენება შესახებ ახალი სახლის ქირების შემოღებისა სამხედრო მოხელეთათვის. განხილვის შემდეგ საკრებულომ დაადგინა, ეს მოხსენება წარუდგინოს ტფილისის სახაზინო პალატას.

✦ 27 თებერვალს ქალაქის თავის მოადგილემ დაათვალიერა რიყის მცხოვრებთა შენობები და ტკვრის ნაპირები, რადგანაც მარტში **წყალი მოიმატებს**. რიყის მცხოვრებლებმა განუცხადეს ქალაქის თავს, რომ ჯერ-ჯერობით საშიში არა არის-რაო; მაგრამ ქალაქის თავმა მაინც განკარგულება მოახდინა, ნავები, თოკები და სხვა წყლისგან გადასარჩენი იარაღები ყოველ შემთხვევისათვის მზად იქონიონ.

✦ ღამის თავშესაფარის სამზრუნველო კომისია შეუდგა **ბინის მებნას** მეორე ღამის თავშესაფარისთვის.

✦ რამდენმამე თათარმა განაცხადა ქალაქის გამგეობაში, რომ ნაზარალევი შემახელები ვართ და ნება მოგვეცით ქალაქში არსებულის პირობებით **ნამალადევში დავსახლდეთო**. გამგეობამ არაფერი არ უპასუხა, რადგანაც იმათ არავითარი მოწმობა არ ჰქონდათ იმისა, რომ დაზარალებული შემახელები არიან, და დაავალა თავის მოხელეებს ამის შესახებ ცნობები შეკრიბონ.

✦ „ნოვ. ობოზრ.“-ს სწერენ სუფსიდან, რომ 26 თებერვალს პოლიციამ **მოჰკლა ცნობილი ავაზაკი** კოწია გუჯაბიძე, რომელიც 1½ წლის წინად კატორგიდან გამოიქცა. 26 თებერვალს გუჯაბიძე მისულა სუფსაში თავის ნაცნობ სიმონ მახარაძესთან, რომელსაც დაუთვრია ავაზაკი და შემდეგ შეუტყობინებია პოლიციისათვის; სტრაჟნიკები შესულან ოთახში და მოუკლავთ მძინარე ავაზაკი.

✦ ხვალ, 2 მარტს, ტფილისის სამოსამართლო პალატა განიხილავს, სხვათა შორის, შემდეგს საქმეებს: სერგო ჩხიკვიშვილისა და ალმასხან კუტელიასას, რომელთაც კაცის მოკვლა ბრალდებათ, ილია აბაშიძისას, რომელსაც ქურდობის ჩადენა ბრალდება, კონსტანტინე ურუშაძისას და კიმოთე ჩუიტაშვილისას, რომელთაც ჩუმათ არაყის გამოხდა ედებათ ბრალად, ვანო შავტურაშვილისას, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-996 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ბრალდება, მოსიკო ბარამიძისა, სილიბისტრო რატიანისა და ბესარიონ ორაგველიძისა და სხვ., რომელთაც სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედების ჩადენა ბრალდებათ.

✦ ტფ. მოქალაქეს ივანე პერეიფერს ამ დღეებში პოლიციის მე-5 ნაწილის ბოქაულისათვის განუცხადებია, რომ მის ნოქარს, ვასილ დანდუროვს, პერეიფერის სახელით შედგენილი წერილები მიუტანია მის ნაცნობებში ფულის სათხოვნელად და კიდეც მოუსწვრია ამ ნაირად 200 მან. შეგროვება. დანდუროვისათვის ეს ამბავი მალე შეუტყვიათ და გოლოვინის პროსპექტზე დაუჭერიათ; გაჩხრეკის დროს აღმოჩენია 6 ასე ყალბად შედგენილი წერილები და ფულად 20 მან. დანდუროვი სასამართლოს პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

✦ დაბა სურამის მცხოვრები ნიკოლოზ შუკაკიძე, სარაჯიშვილის ქარვასლაში მცხოვრები, 26 თებერვალს შესულა თავის მეზობელთან გრიგოლ თოიძესთან. ეს დრო მოუხელებია თელავის მცხოვრებს ტიმოთე მოშიძეს, შუკაკიძისათვის 20 მან. ღირებული პალტო მოუპარავს და მარქარ ბასტამიანცისათვის მიუყიდნია. მოშიძე დანაშაულობაში გამოტყდა

✦ პოლიციის მე-10 ნაწილში, 26 თებერვალს, ანნა სევასტიანოვისათვის ვიღაც გაბრიელ გოროდოვიჩს მოეპარა სხვა და სხვა ნივთები 25 მან, ღირებულობისა და სადღაც მიმალულიყო; მაგრამ პოლიციამ მიიგნო და სასამართლოს პასუხის გებაში მისცა.

✦ პუშკინის ქუჩაზე, პოლიციის მე-5 ნაწილში, 25 თებერვალს რაჭის მაზრის მცხოვრები იასონ რაჭილაშვილი მთვრალი შესულა აკოფოვის სასმელების დუქანში. აქ მას რაღაც უსიამოვნება მოსვლია მეხტი-ჯაფარ-ოღლისთან, რომელსაც რაჭინაშვილი კიბიდან გადმოუგდია; ამ უკანასკნელს თავი გაუტეხია და მარჯვენა ხელი სულ მოსტეხია. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს; დამნაშავე ჯაფარ-ოღლი სასამართლოს პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

წერილი ქუთაისიდან

(საქალაქო საქმეთა საკრებულოს დადგენილებანი)

26-ს თებერვალს ქუთაისის საქალაქო საქმეების საკრებულომ გაარჩია ჩვენი საზოგადოებისათვის საყურადღებო ორი საქმე: ერთი ქალ. ბათუმის გამგეობის წევრის გრ. ვოლსკის წინააღმდეგ აღძრული საქმე—მთავრობისაგან დანიშნული წევრის ივანოვისა და მის შუა მომხდარ ინციდენტის გამო. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ივანოვი ორჯერ ზედი-ზედ გაშავების შემდეგ გამგეობის წევრობის თანამდებობაზე დანიშნულ იქმნა სათანადო მთავრობისაგან გამგეობის წევრად. ამის შემდეგ ქალაქის მოურავის მოადგილის არჩევნები იყო დანიშნული; ბ. ივანოვმა არ მოისურვა არჩევნების მოხდენა და თავის ნებით, ხმოსნების სურვილის წინააღმდეგ გადასდვა ამ კითხვის გარჩევა და სხდომა დახურულად გამოაცხადა. საბჭომ უკანონოდ იცნო ბ. ივანოვის თავმჯდომარეობა და ბ. ვოლსკის სთხოვა დაეჭირა თავმჯდომარის ადგილი.

კანონის ძალით ბ. ივანოვმა იმ წამიდან, როცა გაშავდა, დაჰკარგა თავის განსაკუთრებული უფლებანი, მინიჭებული ხმოსნებისაგან; მთავრობისაგან დანიშვნის შემდეგ ის იწყებს ახალ სამსახურს, ახალი წევრის უფლებით და ეს კი მას უწინდელ უპირატესობას არ აძლევს, ის მხოლოდ ითვლება გამგეობის უმცროს წევრად, რადგანაც უფროსად უნდა ჩაითვალოს ის, ვინც უწინ დამტკიცებულია ქალაქის გამგეობის წევრად. სწორედ ამ მოსაზრებით წაარდგინა თავის საბოლაო მოხსენება ბრალმდებელმა ბ. ბელიაევმა, რომელიც, როგორც სჩანს რამოდენიმე მისი მოხსენებისაგან, დიდის სიმპატიით და პატივისცემით ეპყრობა ქალაქის თვით-მმართველობის პრინციპებს,

ამნაირივე აზრები იყო უწინ მოყვანილი გრ. ვოლსკის საპასუხო მოხსენებაში და ამავე საბუთით განთავისუფლდა ეხლა ვოლსკი საკრებულომ მისგანვე აღძრულ ბრალდებისაგან.

მეორე საქმე, ქუთაისის საკრებულოსაგან გარჩეული 26 თებერვლის სხდომაზე, იყო საჩივარი უმაღლესს სენატში ოზურგეთის ქალაქის მოურავად ნამყოფის ნიკო თავდგირიძისა. ის უჩივის საკრებულოს, რომელიც აჩქარებით, წინ-დაუხედავად, ტენდენციურად მოეპყრო მას, რის გამოც ის ერთი წლის განმავლობაში მოკლებული იყო მოქალაქობრივ უფლებებს; თავის საჩივარს ოზურგეთის ყოფილი მოურავი ათავებს შემდეგის სიტყვებით: „ყოველ-დღიურ ცხოვრებაში საზოგადო მოღვაწეებს ხშირად შეხვდებათ ერთმანეთ შორის შეჯახება, შეტაკება და მუდმივი გამწვავებული ბრძოლა-ქიშპობა, მტრობა; ხშირად საზოგადო მოღვაწეების პარტიულ ბრძოლაში გავლენიანი მოხელეებიც ერევიან და ამა თუ იმ მხარეს ესარჩლებიან, მაგრამ დარბაისელს, მიუდგომელს, სამართლიანს სახელმწიფო დაწესებულებას ყოველგან გამასწორებელი ზნეობრივი გავლენა უნდა ჰქონდეს საზოგადო მოღვაწეებზე: ის არ უნდა უწყობდეს ხელს, არ უნდა აძლევდეს გზას ბოროტ, საზოგადოებურ მიზნის საწინააღმდეგო გრძნობებს და ჩუმ, ფარულ, ურიგო მოხსენებებს. ქუთაისის საკრებულო კი ორი წლის განმავლობაში ისეთ საჩივრებს და ბრალსადებ კითხვებს არჩევდა ოზურგეთის თვით-მმართველობის გამგეობის საწინააღმდეგოდ, რომლებიც ყურადღების მიქცევის ღირსი არ იყვნენ. ამით დაბრკოლდა თვით-მმართველობა და შეფერხდა მისი მოქმედებაო“ ამიტომ მომჩივანი თხოულობს, შენიშვნა მიეცეს ქუთაისის საკრებულოს. საკრებულოს ზოგიერთი წევრები საჭიროდ ვსთვლიდნენ საკრებულოსათვის ზოგიერთი უხერხული სიტყვები შეეცვალა მომჩივანს, მაგრამ უმრავლესობამ გადასწყვიტა საჩივარი შეუსწორებლად გაგზავნილ იქმნეს უმართებულეს სენატში.

წერილი სიღნაღიდან

(გოგოლის ხსენება.—გასართობები.—გულგრილობა საზოგადო საქმისადმი).

სიღნაღელები ვეღარ დაემდურებიან მოწყენილობას—თუ ამ უსაქმურთა ჟანგ „სკუკას“. ამ თებერვალში სულ გართობაში ატარებენ დროს: ეს „ვეჩერებით“, საცეკვაო საღამოებით სიღნაღის საკრებულო დარბაზში თუ კერძოთ. ახლა ხომ ამ ნეტარ ხსენებულ გამოჩენილ რუსეთის მწერალ ნ. ვ. გოგოლის მოსაგონებლათ გამართული სალიტერატურო დილები თუ საღამოები დაემატა ზედ. ჯერ ისევ ოც თებერვალს, საღამოთი, ქალების მარინეს სასწავლებელში იყვნენ მიწვეულნი დაბალი კლასის მოსწავლე ქალები სალიტერატურო საღამოზე. ამავე საღამოს ნება მისცეს ყურებისა მოსწავლეთა წასაყვანათ მოსულ მშობელთ—და შინაურ ნაცნობთ. მესამე საღამოს, 22 თებერვალს კი საგანგებო ბარათებით იყვნენ მიწვეულნი სასწავლებელში სკოლის უფროსისაგან რჩეულნი სიღნაღისანი, სადაც სადღესასწაულო მხიარულების შემდეგ პატარა საუზმეც იყო გამართული მიწვეულთათვის. 21 თებერვალს წირვა იყო გადახდილი სამოქალაქო სასწავლებლის მხრივ გოგოლის სულის მოსახსენებლათ და პანაშვიდიც სასწავლებელში და ამავე საღამოს კი სკოლის დარბაზში გამართული იყო მწერლის პატივსაცემლათ სალიტერატურო საღამო. აქვე ითამაშეს გოგოლის თხზულებიდან „დავა“ და წაიკითხეს რამდენიმე ადგილი იმისავე თხზულებიდან. ამ საღამოზედაც მიწვეულნი იყვნენ საპატიო ბარათებით სიღნაღის საუკეთესო საზოგადოება ანუ უფროსი მოხელენი. ყველა ამ გასართობებით ისარგებლეს წარჩინებულ პირთ თუ უფროს მოხელეთა და იმათმა ოჯახობამ, მაგრამ „სკუკასაც“ ხომ ესენივე უჩივიან, თორემ მდაბიო ხალხს, მუდამ დღე მუშაობის ტვირთ ქვეშ მოხრილთ, სადა სცალიათ „სკუკისათვის“. და ან თუნდაც გასართობათ, დროს გასატარებლათ.

ამ საერთო სამხიარულოთ საღამოებს დაერთო, მეორე გასართობიც, რომელიც გამართა ქალების სასწავლებლის ზედამხედველმა. ამან 23 თებერვალს ქალაქის საკრებულო დარბაზში მიიწვია საზოგადოება და გაუმართა „კასტიუმიროვანი“ საღამო. საზოგადოება ცოტა დაესწრო და თითქმის დამსწრენიც ისევ ისინი იყვნენ, ვინც საპატიო ბარათებით არიან ხოლმე მიწვეულნი. სხვათა შორის, ამ საღამოთი ვინც უკეთ იქნებოდა მორთულ-მოკაზმული, იმისთვის საჩუქარი იყო დადებული, როგორც წამაქეზებელი რამ. პირველი საჩუქარი, რომელიც შესდგებოდა საპირფარეშო სამკაულისაგან, მიუსაჯეს ან. გოგიევისას და მეორე კიდევ, ისევ საპირფარეშო სამკაული, ქ-ნ. ნასიძისას, როგორც საუკეთესო ბოშის ტანთ საცმლით ჩაცმულთ. ორივეს ბოშის ჩაცმულობა ჰქონდათ.

ნეტა სხვა რამ კეთილი საქმე დაიწყონ ჩვენმა მანდილოსნებმა და ასე წააქეზონ, ეგებ იქაც ასეთი მუყაითობა და მეტოქეობა გაუწიონ ერთმანეთს. სწავლა სინათლეა, უსწავლელობა კი-სიბნელე, აი ეს ხომ ისეთი საანბანო ჭეშმარიტებაა, რომლის გამეორებისათვის ბევრნი გაგვიწყრებიან: ეს ხომ ყველამ ვიცით, მაშ რადა იყო მაგისი განმეორებაო! მაგრამ აბა დაუკვირდეთ ცხოვრებას, ჩვენს ქცევა მოქმედებას, თუ ეს სავალდებულო და უოვ დად უსაჭიროესი ჭეშმარიტება გვესმოდეს და თუ შეგვიგნია, ვცდილობდეთ სწავლისა თუ ცოდნის შეძენას და მით ძალის მოპოვებას!.. რითი უნდა შევიძინოთ სწავლა, უნდა მოვიპოვოთ ცოდნა, თუ არა წიგნებით და წიგნებში? მერე გვაქვს ეს სწავლის და ცოდნის მომცემი იარაღი და გვაბადია სიღნაღში მათი ტაძარი—წიგნთ საცავი და სამკითხველო? სრულებითაც არა. და თუ უნდა ვისმეს წიგნის წაკითხვა, კარდანახელებს უნდა დაეღრიჯოს და იქ ითხოვოს, თორემ სიღნაღში ვერას იშოვის (აი ქალაქიც, სოფლის გზის მაჩვენებელი!). ან სცდილობს ვინმე სიღნაღში სამკითხველო-წიგნთ-საცავის გამოწყობას? სრულებითაც არავინ. ვისი მოვალეობაა ამაზე ზრუნვა თუ არა მათი, ვინც სიღნაღის მარილათ ითვლებიან. თუ მიმართეთ ვისმეს პირადად ამ კითხვებით, მაშინათვე იმას გახდიან პირში, სადა გვაქვს მოცლა, ან საშუალება სად არის, ხომ ხედავ საზოგადოებას ისეც გაჭირებია ცხოვრება და აბა მაგისი ფასის გამოღება სად-და შეუძლიანთო.

შორეული.

შემდეგ შეიძლება ამ წევრების არჩევა, რატომ ამ თავითვე არ შეიძლება ესა?! რა არის ამის მიზეზი?!..

მეორე შეცდომა არის კიდევ ის, რომ საზოგადოების საბჭომ აირჩია კომიტეტი და წევრებათ გაურია გარეშე პირები (ე. ი. არა საბჭოს წევრები). ამ მოქმედებით, ჩვენის აზრით, სულ ირღვევა პირობის დედა-აზრი, ვინაიდან საბჭოს მეტად საპატიო ფუნქცია აქვს და გარეშე პირების შეყვანას ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლიან დიდი ვნება მოუტანოს საზოგადოებას. შეიძლება, ეს ახლად მიღებული ორი პირი ძლიერ საჭირო და სასარგებლონიც იყვნენ საქმისათვის, მაგრამ ვინ არის თავდები, რომ ხვალ არ მიიღებენ უვარგის ადამიანს და არ წაახდენენ საქმეს! ამგვარი სხოლიოები და ჩამატებანი არ უნდა ყოფილიყო საზოგადოების პირობაში, რადგან ამით ირღვევა პირობის პრინციპი და შესაძლოა ძლიერ ცუდი შედეგი მოჰყვეს.

იმედია, ყოველივე ამას მიიღებს მხედველობაში საზოგადო კრება, შესცვლის და გაასწორებს; ვინაიდან წესდების ძალით კრებას ეძლევა სრული უფლება „შესცვალოს‘ ესა თუ ის მუხლი, ან ამოიღოს, ან ჩაამატოს ახალი მუხლი.

მესამე შეცდომა კომისიისა, ჩვენის აზრით, გახლავთ ის, რომ მან არ მოახდინა საზოგადო კრება და მით არ მისცა საშუალება აერჩია მომქმედი ორგანო, ე. ი. გამგეობა, თავის კანტორით და მოხელეთა შტატით. მიზეზად ასახელებენ მას, რომ რა საჭიროა ჯერ გამგეობა, როცა ქვა არ გაყიდულაო, ტყუილა ხარჯები მოგვივაო. ეს არაა მართალი აზრი. გამგეობა არ გვყოლებია, მაგრამ ათი თვის განმავლობაში კომისიამ დახარჯა ამ საქმეზე 12.000 მანეთი ჯილდოიანად. გამგეობა რომ თავიდანვე ყოფილიყო, შეიძლება უფრო მალეც გაკეთებულიყო საქმე და უფრო ნაკლებიც დახარჯულიყო. რა საბუთი გვაქვს, რომ აწიც კიდევ მეტი არ დაიხარჯება უგამგეობოდ?! მეორე ის, რომ ადრე თუ გვიან ხომ უნდა გაიყიდოს ქვა და ეს მოვლენა დიდ-ხანსაც არ გასტანს, ისეა საქმე. თუ გამგეობის წევრები ამ თავითვე არ გაეცვნენ საქმეს, არ მოეწყვენ, არ დალაგდნენ, მერე როგორ მოასწრებენ, ყოველივე ამას, როცა ქვა გაიყიდება და ამოდენა საზოგადოების საქმეთა ჩარხი მოვა მოძრაობაში. ამას უნდა ერთი-ორი თვით ადრე მომზადება. ამიტომ ბევრად აჯობებდა საქმისთვის ამ თავითვე არჩევა. სად უნდა იყოს გამგეობა და უმთავრესი კანტორა, ეს ეკუთვნის საზოგადო კრებას. ჩვენის აზრით, ბევრად აჯობებდა საქმისთვის, რომ ერთიც და მეორეც იყოს ჭიათურაში.

კომისიას კიდევ ბევრს საყვედურს უთვლიან, მაგ. საქმის გაჭიანურებისათვის, ჯილდოს განაწილებისთვის და სხვ. მაგრამ ნუ დაივიწყებენ, რომ ამავე დროს კომისიას მიუძღვის ჭიათურის მრეწველობის წინაშე დიდი ღვაწლი. კომისიამ შეაერთა ორასი ნამდვილი მრეწველი 20 სრულს ამხანაგობათ, რომელთაგან ახლა შეიქმნა ვრცელი საზოგადოება. კომისიამ შეუკრა საამხანაგო პირობა ამ მრეწველთა სახელით ბერლინის მანგან-სინდიკატს, რომლისაგანაც მოიპოვა საწარმოვოდ საჭირო თანხა, მით გამოდიან მრეწველნი ჩარჩ-მსყიდველ ექსპორტიორთა კლანჭებიდან და ხდებიან თვით ექსპორტიორები და მსოფლიო ბაზარზე საქონლის გამტანნი. ამდენი ხალხის თავის მოყრა, ამდენი საქმის თავის გამობმა და ასე რიგად დაგვირგვინება, მიუხედავად აურაცხელ მტრობისა, რასაც უწევდნენ ამ საქმეს, ადვილი არ იყო. მას სჭირდებოდა დიდი დრო და დიდი შრომა. სიმართლე მოითხოვს ვთქვათ, რომ როგორც კომისიის თავმჯდომარე ბ. ზდანოვიჩი, ისე თითქმის ყველა წევრები კომისიისა ერთგულად შრომობდნენ და ცდილობდნენ ამ დიდი საქმის საკეთილოდ დამთავრებას. მათი შრომა არ დარჩა უნაყოფოდ. შესდგა შავი-ქვის ვრცელი საზოგადოება, რომლის მგზავსი არ ახსოვს ჭიათურის მრეწველობის ისტორიას. მართალია, ჩაიყარა მაგარი და მტკიცე საძირკველი, მაგრამ არ ვიცით, როგორი იქნება კედლები და გუმბათი. ეს ერთის მხრით მასზედაა დამოკიდებული, თუ როგორ კაცებს აირჩევენ გამგეობაში. კარგ გამგეობას შეუძლია სუსტი საქმე გაამაგროს და გააძლიეროს, ცუდი გამგეობა კი ადვილად წაახდენს ძლიერ კარგად დამყარებულ საქმეს. კვლავ მითქვამს და კიდევ მივაქცევ ამ მოვლენას შავი-ქვის საზოგადოების წევრთა ყურადღებას და ვურჩევ გულით, რომ არ დაირიდონ არც ძმა, არც მოკეთე, არც მეგობარი, არც დროებით პირადი სარგებლობა და გამგეობაში აირჩიონ სწორეთ ღირსეული კაცები: **პატიოსანი, მცოდნე და მშრომელნი.**

სიმონ ქვარიანი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

27 თებერვალი.

პეტერბურგი. პრიამურის ოლქის და კვანტუნის მხრის უფროსების მოხსენებაში, რომელიც „რუსკი ინვალიდში“ დაბეჭდილი, არის მოყვანილი, რომ ხუნხუზების ბრბოთა ნარჩენები, რომელთაც ერთად თავი მოიყარეს, რუსის ჯარებმა განფანტეს. ათასი კაცის თავ მოყრილი ბრბო 17 იანვარს ტუნკოუს ახლო დაამარცხეს, სინდიანთან ჩამბეის ბრბო განფანტეს; სხვა ბრბოებსაც სდევნიდნენ.

მოსკოვი. ირინეს ქუჩის მოსახვევში დღეს გლეხმა კუზნეცოვმა დანით მოჰკლა პოლიციელი ტიმოფეევი, რომელსაც კუზნეცოვი საჩაიედან გამოჰყავდა.

სამთო-მრეწველთა კრება შუამდგომლობს ახალი რკინის გზების გაყვანაზე. კრება დაიხურა დღეს.

ბლაგოვეშჩენსკი. გამოცხადებულია სავალდებულო დადგენილებანი, რომელიც უკრძალავს ხალხს თავის მოყრას.

ვარშავა. ვარშავის ბანკში აღმოაჩინეს 60,000 მან. გაფლანგვა 25 წლის განმავლობაში.

რიგა. პოლიტეხნიკუმის დირექტორმა გრინბერგმა სამსახურს თავი დაანება, იმის ადგილზე საბჭომ ამოირჩია პროფესორი ვალდენი.

მოსკოვი. სამთო-მრეწველთა კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს, რომ ადგილობრივი სახელმწიფო სამრეწველო დაწესებულებანი ვალდებულნი იყვნენ, თავის მოთხოვნილება დააკმაყოფილონ ადგილობრივის ნაწარმოებით; სახელმწიფო ბანკში გაახსნას გრძელ-ვადიანი კრედიტის თამასუქების წარმოება, ნება მიეცეს ბანკს, რომ სესხი აძლიოს მიწის მოსავალში და ტულაში დაარსდეს სამთო-მადნო დაბალი სკოლა.

ჩისტოპოლი. დიდი თოვლი აბრკოლებს პურის შემოტანას. სათადარიგო ხორბალი, შვრია და ფქვილი მატულობს. ჰფიქრობენ, გადანარჩენი გაგზავნონ გასასყიდათ რიბინსკში.

მოსკოვი. სამთო-მრეწველთა კრებამ გადასწყვიტა სამუდამო კრებების დაარსების კითხვა და დაადგინა, რომ წარმომადგენელთ, საჭიროების-და-გვარად, მოიწვიონ ხოლმე კრებები.

პირველს მარტს გაუდის ვადა პირველი მესტამბის ივანე თედოროვის ძეგლის პროექტის წარდგენას. შეკრებილია 27,000 მან. მეტი. პირველი ჯილდო 5,000 მან.

გროდნო. გოგოლისა და ჟუკოვსკის სახსოვრად გროდნის გუბერნიაში იხსნება ოთხი სამრევლო სასწავლებელი.

კიევი. დნეპრი ყინულისაგან განთავისუფლდა. საბჭომ მიიღო ქვითკირის ცირკის აშენების პროექტი 1,200 კაცისათვის; შენობა ეღირება 600,000 მან. ფულს ადგილობრივი მდიდრები აძლევენ.

ბერლინი. ასტრახანის ბეზზუბიკოვის თევზის ქარხანამ მესწირა ბერლინის უნივერსიტეტის მუზეუმს ზღვის ძაღლის საჭერი ბადე.

ბიზერტა. ადმირალი კრიგერი ალჟირისკენ წავიდა; ადგილობრივი ჯარები ნაპირზე იყვნენ და ორკესტრმა რუსული ჰიმნი დაუკრა. რუსის გემზე მუსიკამ მარსელიეზა დაუკრა.

ვენა. „ავსტრო-რუსეთის სავაჭრო კავშირი“-სგან მოწოდებული კრება შესდგა, რათა შეიმუშაონ ზომები ავსტრიის მრეწველობის რუსეთთან გაძლიერების შესახებ. კრებას დაესწრნენ რუსეთის საგენერალო დესპანი კუდრიაშევი, ავსტრიის სამინისტროების წარმომადგენელნი, ბევრი დეპუტატები და მექარხნეები; ავსტრ-უნგრეთის საელჩოში ვარშავაში მოსამსახურემ პოლმა განაცხადა ვარშავაში სააგენტოს გახსნის საქმე. კრებამ ერთის ხმით დაადგინა, რომ სასურველია ვარშავაში საელჩოსთან დაწესდეს კომერციული განყოფილება.

ნიუ-იორკი. პრინცმა ჰენრიხმა წასვლის წინად რუზველტს დეპეშა გაუგზავნა და განუმეორა მადლობა კარგად დახვედრისათვის და იმედი განაცხადა, რომ იმისი იქ ყოფნა განამტკიცებს ამერიკასა და გერმანიას შუა მეგობრობას. რუზველტმა პასუხად სიხარული გამოსთქვა, რომ პრინცის ყოფნამ ამერიკაში ხელი შეუწყო მეგობრულს გრძნობას და ამასთან გამოსთქვა სურვილი, რომ ეს გრძნობა ყოველთვის დაურღვეველი იყოს.

არხანგელსკი. ქალაქში სამი ცოფიანი ძაღლი აღმოაჩინეს. ორი დაკბენილი მოსკოვში გაგზავნეს, პასტერის სადგურზე.

პეკინი. გარეშე საქმეთა უწყების ერთი დიდი მოხელე იტყობინება, რომ რუსებმა 500 ჯარის კაცი გაგზავნეს იეხოლში, საიდანაც ავაზაკებმა წაიყვანეს ბელგიის მღვდლები,—წესიერების აღსადგენად.

28 თებერვალი

პეტერბურგი. ფინანსთა სამინისტრომ ნება მისცა სააქციზო გადასახადთა უფროსთ იმ შემთხვევაში, როდესაც პირადათ იცნობენ არყის მექარხნეთ ან მათ რწმუნებულთ, იჯარის გაცემის დროს არ მოსთხოვონ დაწესებული საბუთები და მოწმობები.

„ტორგოვო-პრომიშ“. გაზ. იტყობინება, რომ მოსკოვში ჩამოსულა ფეშავერიდან (ინდოეთშია) იქაურ სავაჭრო სახლის წარმომადგენელი და განზრახვა აქვს სავაჭრო ურთიერთობა დაამყაროს მოსკოველ მევაჭრეებთან. ხსენებულ წარმომადგენლის სიტყვით, ინდოეთში თხოულობენ რუსულ ფაბრიკების ნაწარმოებს, რომელიც ინგლისურზე უკეთესადაც მიაჩნიათ.

„ტორგოვო-პრომ. გაზ“.-ში დაბეჭდილია ოფიციალური ცნობა ბრიუსელის საშაქრო კონფერენციის შესახებ.

28 თებერვალს „პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია უმაღლესად დამტკიცებული მინისტრთა კომიტეტის აზრი ე. გ. ტეგელსტენის ნავოსნობის ამხანაგობის დაარსების შესახებ საქონლისა და მგზავრთა გადასაზიდავად კრონშტადტიდან შლისელბურგამდე; აგრეთვე დაბეჭდილია, რომ „ჩერნომორსკის ცემენტის საზოგადოებ:ს“ ნება მიეცა 700 ათასი მან. ობლიგაცია გამოსცეს.

საპატიმროთა მოღვაწეების კრება მოხდება 11 მარტიდან 14-მდე.

უმთავრესმა შტაბმა მიიღო გენ.-ადიუტანტი ალექსეევისაგან შემდეგი დეპეშა: „გენერალი მიშჩენკო 18 თებერვალს ცხენოსანის რაზმით დაეწია გოუ-ბან-ცზის ჩრდილოეთით სამას კაცისაგან შემდგარს ხუნხუზთა ბრბოს; მოკლულია 200 ხუნხუზი და მათი უფროსები; წაართვეს სამი ზარბაზანი, ბევრი თოფი და ტყვია-წამალი; ჩვენთაგან დაჭრილია ორი კაზაკი“.

„ნოვ. ვრ“.-ს მოსკოვიდან ატყობინებენ, რომ ქალაქის საბჭოს სხდომაზე ქალაქის თავმა გამოაცხადა მოსკოვის მცხოვრებთა აღწერილობის შედეგი: მოსკოვში აღმოჩნდა 1,173469 კაცი; მათგან 663757 მამაკაცი და 509712 დედაკაცი. 1897 წლიდან მცხოვრებთა რიცხვს მოუმატნია 105,000,1882 წლიდან კი 340,000 კაცით.

ბაქო. საქველ-მოქმედო კომიტეტმა შემახელების სასარგებლოდ ჯერ ხანად შეაგროვა 100,500; „კასპი“-ის რედაქციაში შემოვიდა 30,000 მანეთი. აქ მოსულ შემახელებს ეძლევათ ერთის თვის საყოფი სარჩო.

ფლიგელ-ადიუტანტმა ობოლენსკიმ შემახაში ერთი დღე დაჰყო და შემდეგ დაზარალებულ სოფლებში წავიდა.

განზრახულია ააშენონ დროებითი ხის ბარაკები უსახლ-კაროთათვის, რაც დაჯდება 50,000 მანეთი; ამ ფულის ნახევარს იძლევა—თავადი ობოლენსკი და ნახევარს კი წითელი ჯვრის საზოგადოება.

ბაქო. უეცრად გარდაიცვალა გერმანიის კონსული სტეპუნი.

ვენა. რუსეთის საელჩოში კონსულის კუდრიავცევის თავმჯდომარეობით მოხდა კრება იმ კითხვათა გასარჩევად, რომელიც ეხება პეტერბურგში საერთაშორისო ტანსაცმლის გამოფენას. კრებას დაესწრო რუსეთის ელჩი და ავსტრიის სავაჭრო-სამინისტროს წარმომადგენელნი; კუდრიავცევმა, სხვათა შორის, სთქვა: „გამოფენა ხელს შეუწყობს ავსტრ-უნგრეთის და რუსეთის მეგობრულ ურთიერთობასა და მათის სავაჭრო ინტერესების გაძლიერებას“. სავაჭრო-სამინისტროს წარმომადგენლები დახმარებას დაჰპირდნენ მო[illegible]თბის მხრით. გრაფმა კაპნისტმა მადლობ[illegible]აცხადა იმის გამო, რომ ავსტრ-უნგრეთ[illegible]ქთის ყურადღებით ეპყრობა პეტერბურგის გამოფენას, და საქმეს კეთილი დაბოლოვება უსურვა.

ოდესა. ოდესისა და აზოვის ნავთ-სადგურების შორის ნავოსნობა დაიწყო.

სტოკჰოლმი. მთავრობამ საერო კრებას წარუდგინა მოხსენება პოლიტიკურ უფლებათა გავრცელების შესახებ. კანონ-პროექტით ყველას, ვინც 25 წლის არის, ეძლევა ნება მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, თუ სათემო კრებებში აქვს ხმის უფლება.

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 26 თებერვალს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,10	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,80	
ბერლინზე „	46,27 1/2	
პარიზზე „	—	
ბირჟის დისკონტი	4 1/2—6 1/2 %	
1% სახელმწიფო რენტა	96 1/4	გაყიდ.
1 1/2% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა	—	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	475	„
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	376	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	300 1/2	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
4 1/2% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	90 1/8	„
4 1/2% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის)

ა) **ტფილისიდან ბათუმისაკენ:** 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 6 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ პარასკეობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო—გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.) 3) სამგზავრო—გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ).

ბ) **ქუთაისიდან ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) **ბათუმიდან ტფილისამდე და ბაქომდე** 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ, (9 ს. 56 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუღიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ზ ი გ

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა

(საკუთარი ტყიდან)

გვრის მოედანზე, ყაფანთან

ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი ნახშირი.

შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.

ტელეფონი № 754. (წ.).

მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანი დამატებით

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
3 „	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	9 მ.
6 თვით	4 „	6 თვით	7 „
1 „	75 კ.	1 „	90 „

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ სურათებიანი დამატებით უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი. წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ, 1-ლ აგვისტომდე—2 მ.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქცია და **კონტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქ., **ტელეფონი** № 372.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ „Цнобисъ-Пурцели.“

მთავრობის ნება-დართვით მომავალ 15 მარტს გაიხსნება ქ. ტფილისში

სამეურნეო სასწავლებელი

მებაღეობისა, მევენახეობისა, მებოსტნეობისა და მეფუტკრეობისა, რომელშიაც მთელი სწავლა დამთავრდება **რვა თვეში** (დაიწყება 15 მარტს და გათავდება 15 გიორგობისთვეს). სკოლაში მიიღებიან რუსული წერა-კითხვის მცოდნე ყმაწვილები, არა ნაკლებ 15—16 წლისანი. ვინც სწავლას კარგათ გაათავებს, მიეცემა მოწმობა. ფასი მთელის სწავლისა **რვა თუმანია**. ვისაც ჰსურს მიიღოს სკოლის დაბეჭდილი წესდება, უნდა გამოგზავნოს 7 კაპ. მარკა. თხოვნები მიიღება 10 მარტამდის, ჯერით.

ადრესი: Въ Тифлисъ, Завѣд. Ивану Павловичу Ростомашвили (Давидов. переулокъ, № 20). (10—8)

Дозволено цензурою Тифлисъ, 28 Февраля 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.